

საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისია (IEC)

შექმნილია 1906 წელს. წარმოადგენს ერთერთ უძველეს საერთაშორისო ორგანიზაციას. მისი საქმიანობა ძირითადად დაკავშირებულია ელექტროტექნიკური და ელექტრული მოწყობილობების ფიზიკური მახასიათებლების ბირთვული ხელსაწყოთმშენებლობის, ლაზერული ტექნიკის, კავშირგაბმულობის საშუალებების, საავიაციო და კოსმოსური ხელსაწყოთმშენებლობის, გემთმშენებლობისა და საზღვაო ნავიგაციის, ატომური ენერჯის, ინფორმატიკის, აკუსტიკის, სამედიცინო ტექნიკის სტანდარტიზაციასთან. ძირითადი ყურადღება ბოლო წლებში ეთმობა საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებას გამოსაყენებელი მოწყობილობების უსაფრთხოების, საიმედოობისა და ელექტრომაგნიტური შეთავსების დარგში, და აგრეთვე მის უსაფრთხოებას გარემოსათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სტანდარტები მუშავდება კონსენსუსისა და მათში ჩადებული მოთხოვნების ნებაყოფლობითი აღიარების საფუძველზე, პრაქტიკაში პროდუქციის მათზე შესაბამისობა, არსებითად, აუცილებელია, რადგან წარმოადგენს საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობისა და დაშვების კრიტერიუმს. ისევე როგორც ISO-ში IEC-ის წევრებს წარმოადგენენ სტანდარტიზაციის ტექნოლოგიების ეროვნული ორგანიზაციები (კომიტეტები) შესაბამის დარგებში, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთი ქვეყნების ინტერესებს საერთაშორისო სტანდარტიზაციის საქმეში. დღეისათვის IEC შემადგენლობაში შედის 50-ზე მეტი ასეთი წევრებისა.